ფორმა N1 -ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13027	17115	4673
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	467675	446589	495118
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1329502	1232273	12995
მარაგები	49017	41213	60134
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	49017	41213	60134
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	654568	553679	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	102721	105836	1331651
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2616510	2396705	1904571
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	384418	405855	415856
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	24601
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1206721	1176515	1306418
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	1591139	1582370	1746875
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	189000	30003	3000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	836371	784332	154696
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1025371	814335	157696
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2616510	2396705	1904571
სულ მოკლევადიანი აქტივები	2513789	521793	572920
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1591139	1582400	1746875

შპს "გუდ-ლაიკი"-ს დირექტორი /გ.თათრიშვილი/

ფორმა N2 -საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	11204309	11718280
საქონლის გაყიდვიდან	11021942	11520010
მომსახურების გაწევიდან	182367	198270
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-10742269	-11223582
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	462040	494698
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-280540	-187168
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-15753	-11487
საპროცენტო შემოსავალი	100521	240127
საპროცენტო ხარჯი	-157471	-158001
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-71826	-67943
სულ საოპერაციო ხარჯები	-425069	-184472
საოპერაციო მოგება	36971	310226
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით	2586	1780
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	2982
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	39557	314988
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	0	0
მოგების გადასახადის ხარჯი	39557	314988
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	39557	314988
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	814335	157696
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	311648
კაპიტალის სხვა ცვლილებები	171479	30003
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1025371	814335

შპს "გუდ-ლაიკი"-ს დირექტორი /გ. თათრიშვილი/

ფორმა- N3 ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-147948	11759
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	171479	30002
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-30205	-31099
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-6674	10662
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	2586	1780
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	17115	4673
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	13027	17115

შპს "გუდ-ლაიკი"-ს დირექტორი /გ. თათრიშვილი/

შპს ,,გუდლაკი" (ს/კ 217888775)
ფორმა N5 - განმარტებითი შენიშვნები

შეავსეთ იმ შემთხვევაში თუ : საწარმოს აქვს ნებისმიერი სახის ფინანსური ვალდებულება, გარანტია, ან პირობითი ვალდებულება რომლებიც ასახული არ არის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (3.15 პუნქტის (ა))

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდ
ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების, გარანტიის, ან პირობითი ვალდებულების ჯამური თანხა	1 206 721	1 176 515

შეავსეთ იმ შემთხვევაში თუ : საწარმოს აქვს ნებისმიერი სახის ფინანსური ვალდებულება, გარანტია, ან პირობითი ვალდებულება რომელიც მიეკუთვნება პენსიებს და/ან უკავშირდება მშობელ საწარმოს, მვილობილ საწარმოს ან მეკავშირე საწარმოს (3.15 პუნქტის (i),(ii))

ნებისმიერი ვალდებულება რომელიც მიეკუთვნება:	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
პენსიებს		
მმობელ საწარმოს		
მვილობილ საწარმოს		
მეკავშირე საწარმოს		

შეავსეთ იმ შემთხვევაში თუ : საწაროს გაცემული აქვს ავანსი ან კრედიტი ხელმძღვანელი და/ან სამეთვალყურეო ორგანოების წევრებზე (3.15 პუნქტის (ბ))

ავანსი ან კრედიტი რომელიც გაცემულია ხელმძღვანელ პირებზე ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
გაცემული ავანსის თანხა		
გაცემული კრედიტის თანხა		
საპროცენტო განაკვეთი		
სხვა მნიშნელოვანი პირობა		
დაბრუნებული თანხა		
ჩამოწერილი და/ან გაუქმებული თანხა		
პერიოდის ბოლოს დასაფარი ნაშთი		

შეავსეთ იმ შემთხვევაში თუ : საწაროს აღებული აქვს ხელმძღვანელი პირების და/ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გარანტიის მემვეობით ნებისმიერი სახის ვალდებულება (3.15 პუნქტის (ბ))

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ვალდებულების თანხა		
გარანტიის თანხა		

შეავსეთ იმ შემთხვევაში თუ: საწარმომ ან მისი სახელით მოქმედმა სხვა პირმა განახორციელა საკუთარი აქციების შეძენა ან გასხვისება

შეძენა	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
აქციების შეძენის მიზეზი		
შეძენილი აქციების რაოდენობა		
საპასუხო შესრულება (ე.ი. შეძენის შემთხვევაში - აქციებისათვის გაცემული ანაზღაურება);		
შეძენილი აქციების ნომინალური ღირებულება		
ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში:		
საბალანსო ღირებულება		
განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივი მაჩვენებელი		
საანგარიშგებო პერიოდში შეძენილი და საკუთრებაში დატოვებული აქციების რაოდენობა		
ნომინალური ღირებულება		
ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში:		
საბალანსო ღირებულება		
განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივი მაჩვენებელი		

გასხვისება	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
გასხვისებული აქციების რაოდენობა		
საპასუხო შესრულება (ე.ი. გაყიდვის შემთხვევაში - აქციებისათვის მიღებული ანაზღაურება);		
გასხვისებული აქციების ნომინალური ღირებულება		
ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში:		
საბალანსო ღირებულება		
განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივი მაჩვენებელი		

შპს ,,გუდლაიკი"-ს დირექტორი: /გ. თათრიშვილი/

შპს „გუდ-ლაიკი"-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

გორი

2023 წელი

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

   შპს ,,გუდ-ლაიკი" (ს/კ 217888775), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 1997 წლის 20 აგვისტოს. საწარმოს იურიდიული მისამართი ქ. გორი, მშვიდობის გამზირი 13/18. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის გორის რაიონი სოფ. ბერბუკი.. საწარმოს ძირითადი საქმიანობაა: საწვავის საბითუმო და საცალო ვაჭრობა საქართველოში. საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. წარდგენის საფუძვლები

   კომპანია საქართველოში მოქმედი ბუღალტრული და საანგარიშგებო რეგულაციების მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და ამავე რეგულაციებით მას მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ლარებში.

3. ამონაგების აღიარება

   ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში

4. ვალუტა

   კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე

ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში. უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

საქართველოს ეროვნილი ბანკის ოფიციალური კურსი

აშშ დოლარი 2022 წლის 31 დეკემბერი 2.7020

5. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წაახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში. მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, ხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

1. დივიდენდის განაწილება;
2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის;
3. ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
4. გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება;
6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ.

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად. თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: (ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ფასდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში. რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

9. გადახდილი ან მიღებული ავანსები

გადახდილი და მიღებული ავანსები აღიარდება გადახდილი/მიღებული თანხის ოდენობით გადახდის/მიღების მომენტში. ავანსების გადაფასება არ ხდება სავალუტო კურსის მიხედვით და რჩება შეფასებული ისტორიული ღირებულებით. გადახდილი ავანსების გაუფასურებაზე ტესტირება ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას კომპანია ვერ მიიღებს და თანხის უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იქნება, მაშინ გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

10. ფული

ფული მოიცავს ფულად სახსრებს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

11. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

12. სესხები

სავალო ინსტრუმენტები უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. იმ შემთხვევევაში თუ სავალო ინსტრუმენტები

კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი, მაშინ იგი უნდა შეფასდეს გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლებისა ან/და ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას, საწარმომ სავალო ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის მიხედვით უნდა მოახდინოს ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ყველანაირი საზღაურის, გადახდილი ფინანსური ხარჯის ან მიღებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება.

13. შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

14. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში. კომპანიას 2020 წლის განმავლობაში დივიდენდი გაცემული არა აქვს.

15. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ დაქირავებულ პირებზე, მათ შორის დირექტორზე გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას. დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურებად ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული

ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

17. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია

შპს ,,გუდლაიკის"-ს დირექტორი: /გ. თათრიშვილი/